

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №

___ ივლისი, 2021 წელი

ქალაქი ბათუმი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების
სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 108-ე მუხლის შესაბამისად, ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცეს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული “HYUNDAI SONATA”-ს მარკის ავტომობილი: სარეგისტრაციო ნომერი - №SGG944; საიდენტიფიკაციო ნომერი - KMHEC41BBBA281754; გამოშვების წელი - 2011, შემდგომში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის სარგებლობაში გადაცემის მიზნით.

2. ეთხოვოს სსიპ „სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს უზრუნველყოს წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემული ქონების მიღებისათვის საჭირო ღონისძიებების გატარება.

3. წინამდებარე განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) მისი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

სულიკო თებიძე

გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი
პროექტის სახელწოდება და სათაური

„ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების
სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ“
ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

- ა) ზოგადი ინფორმაცია პროექტის შესახებ
ა.ა) პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას 2021 წლის 21 ივნისს წარედგინა სსიპ
„სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო“-ს თავმჯდომარის №5/37992 (06-1421172549-
14) წერილი, რომლითაც მოთხოვნილია, ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის
საკუთრებაში არსებული ავტოსატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო საკუთრებაში
გადაცემა, შემდგომში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სარგებლობაში
გადაცემის მიზნით.

ვინაიდან აღნიშნული ავტოსატრანსპორტო საშუალება - “HYUNDAI SONATA”-ს
მარკის ავტომობილი, გამოშვების წელი 2011, სარეგისტრაციო ნომერი #SGG944;
საიდენტიფიკაციო ნომერი KMHEC41BBBA281754 2012 წლიდან იმყოფება საქართველოს
შინაგან საქმეთა სამინისტროს სარგებლობაში (თხოვების ფორმით; ბრძ. #02/272;
04.08.2012წ.) მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული იგი საკუთრებაში გადაეცეს სახელმწიფოს
წერილში მითითებული მიზნით.

ა.ბ) პროექტის ძირითადი არსი:

წინამდებარე პროექტის მიღების ძირითადი არსია სახელმწიფოსათვის
ავტოსატრანსპორტო საშუალების საკუთრებაში გადაცემა, შემდგომში საქართველოს
შინაგან საქმეთა სამინისტროზე სარგებლობაში გადაცემის მიზნით.

ბ) პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების
წყარო:

პროექტის განხორციელება არ მოითხოვს დამატებით ფინანსურ ხარჯებს.

ბ.ბ) პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე:

ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვით ნაწილზე პროექტის განხორციელება
გავლენას არ მოახდენს.

გ) პროექტის შესაბამისობა უპირატესი იურიდიული ძალის მქონე ნორმატიულ
აქტებთან

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“.

დ) პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

ე) პროექტის ავტორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ქონების და სერვისების
მართვის სამსახური.

ვ) პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია.

ზ) განმარტებითი ბარათის მომზადებაზე უფლებამოსილი პირის თანამდებობა,
სახელი, გვარი და ხელმოწერა:

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის
მერიის მუნიციპალური ქონების და
სერვისების მართვის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

დავით კოპინაძე